ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №68

25 თებერვალი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი მუდმივმოქმედი სააუქციონე კომისიის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის N32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის“ მე-6 მუხლის მე-8 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით, პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- მაია კუტუბიძე – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;
- გიორგი სიმონია – მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში - აუქციონატორი;
- ლელა მდინარაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების საკითხებში - მდივანი ; რეგისტრატორი.

- ვლადიმერ ლომთათიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;

- გოგი ბოლქვაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში – წევრი.

- ნინო ვაჩეიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში – წევრი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 მაისის ბრძანება №122 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*